

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მარნეულის სოკო“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. მარნეული

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება „მარნეულის სოკო“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-17
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები. 13	
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა ხარჯები	13
შენიშვნა 7. ფინანსური ხრჯები	14
შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
შენიშვნა 11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	15
შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 13. გადასახდელი სესხები	16
შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16
შენიშვნა 15. დეკავშირებული მხარეთა ორერაციები	16
შენიშვნა 16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოკო“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მარნეულის სოკო“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი: გიორგი რუხავი

2025 წლის 30 სექტემბერი

მარნეული, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2024	31,12,2023	31,12,2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	4300318	3768044	998167
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,300,318	3,768,044	998,167
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	242256	217239	283067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	610708	150038	5487
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	9569	60944	625
სხვა მიმდინარე აქტივები		106181	243739	14557
სულ მიმდინარე აქტივები		968,714	671,960	303,736
სულ აქტივები:		5,269,032	4,440,004	1,301,903
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		120844	576844	672244
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		1964331	1134998	400930
სულ საკუთარი კაპიტალი		2,085,175	1,711,842	1,073,174
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	13	2876490	2522751	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,876,490	2,522,751	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	307366	205411	228729
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		307,366	205,411	228,729
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,269,032	4,440,004	1,301,903

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირფშაიზი
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო




ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოკო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2024	31,12,2023
ამონაგები	5	5701235	4449073
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,730,025)	(2,550,523)
საწყისი ნაშტი		(217,239)	(283,067)
შემენილი ნედლეული და მასალები		(2,755,042)	(2,484,694)
საბოლოო ნაშტი		242,256	217,239
საოპერაციო მოგება		2,971,210	1,898,551
სხვა შემოსავლები			0
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(667,010)	(475,306)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(243,440)	(83,273)
კომუნალური ხარჯები		(456,044)	(243,924)
სხვა ხარჯები	6	(166,522)	(152,029)
ფინანსური ხარჯები	7	(299,264)	(191,375)
მოგება დაბეგვრამდე		1,138,931	752,643
მოგების გადასახადი		(46,440)	(2,786)
საანგარიშო წლის მოგება		1,092,491	749,857

ხელმძღვანელობის სახელით:


ფირმის რეზი
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო



ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოკო“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31-Dec-22	672,244	400,930	1,073,174
გაცემული დივიდენდები	-	(15,789)	(15,789)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	749,857	749,857
კაპიტალის ზრდა/კლება	(95,400)	-	(95,400)
31-Dec-23	576,844	1,134,998	1,711,842
გაცემული დივიდენდები	-	(263,158)	(263,158)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	1,092,491	1,092,491
კაპიტალის ზრდა/კლება	(456,000)	-	(456,000)
31-Dec-24	120,844	1,964,331	2,085,175

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირფუძვან
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოკო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,929,029	4,604,909
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,288,177)	(6,505,904)
გადახდილი გადასახადები	(33,762)	(255,228)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	607,090	(2,156,223)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(250,000)	(15,000)
მიღებული სესხები	2,978,500	2,596,300
გადახდილი სესხები	(2,624,761)	(73,549)
გადახდილი პროცენტები	(280,288)	(200,281)
მიღებული პროცენტები	451	2,904
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(26,367)	1,569
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(456,000)	(95,400)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(658,465)	2,216,543
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(51,375)	60,320
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	60,944	625
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9,569	60,944

ხელმძღვანელის სახელით:

ფირუზ რზაევი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მარნეული სოკო არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში 2018 წლის 17 მაისიდან საიდენტიფიკაციო ნომერია 434172726. საწარმოს იურიდიული მისამართი საქართველო, მარნეულის რაიონი სოფელი კაჩაგანი. საწარმოს დაფუძნებულია ფირუდინ პანაჰლი C01318988 -49.5 %, შარიხან ველიევი 28001022100 – 1%, ფირუზ რზაევი C01188680 – 49.5%. საწარმოს დირექტორია - ფირუზ რზაევი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქტის სოკოს წარმოება და რეალიზაცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ასევე წარმოადგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია მეწარმისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საზოგადოების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირუზ რზაევი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერ
მარნეული, საქართველო

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის

ხელმძღვანელის სახელით:

ფირუზ არაგვი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საზოგადოება ცვეთის გასაანგარიშებლად იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირუზ რზაევი
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

ბუღალტერი

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელის სახელით:

ფირუზ რზაივი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირუზ რზაივი
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

ბულატერი

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი რეალიზიციიდან	5701235	4449073
ჯამი	5701235	4449073

შენიშვნა 6. სხვა ხარჯები	31.12.2024	31.12.2023
საპენსიო დანარიცხების ხარჯი	5337	3881
გრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	12985	7389
ბანკის საკომისიო	29357	46469
საიჯარო ქირა	25792	18668
საკანცელარიო ხარჯი	100	0
მიმდინარე ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	9945	4525
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახდი)	17181	10022
მცირეფასიანი ინვენტარიზაციის ხარჯი	1213	4617
სხვა საერთო ხარჯი	64611	56459
ჯამი	166522	152029

შენიშვნა 7. ფინანსური ხარჯები	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტი	451	2904
საპროცენტო ხარჯი	(280,288)	(200,281)
საკურსო სხვაობიდან შემოსავალი	10937	6741
საკურსო სხვაობიდან ხარჯი	(30,365)	(739)
ჯამი	(299,264)	(191,375)

ხელმძღვანელის სახელით:

ფირუზ თაყაი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები

	31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	31.12.2022
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	578304.5	1484383	906078	906078	0	0
ახალი სათბურის მოწყობილობები	23532	10630.4	1744371	1757273	1757273	0	0
შენობები	989342	1008246.57	18905	0	0	0	0
მანქანა-დანადგარები	1781841	1788148.69	145385	139077	0	26439	165516
ძალოვანი მანქანა-დანადგარები, გუმბოები	194642	107402.68	21431	108670	108511	1070	1229
საწარმოო ინვენტარი	108310	0	16452	124762	0	16452	141215
ოფისის აღჭურვილობა	5742	0	820	6562	822	820	6560
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2927	161.02	855	3621	331	899	4189
საგრანსპორტო საშუალებები	192725	40000	25108	177833	75573	23108	125369
ბიოლიგიური აქტივები	0	0	4564	4564	4564	0	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	525120	0	14485	539605	0	14485	554091
შენობის შუალედური ანგარიში	476136	1484383	1008247	0	0	0	0
სულ ძირითადი საშუალებები	4300318	5017277	4485004	3768044	2853150	83273	998167

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო

(ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-დებულებაც საზოგადოებამ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება

შენიშვნა 9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

31.12.2024

31.12.2023

31.12.2022

ნედლეული და მასალები

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ფირუზ არაგვი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

დაუმთავრებელი წარმოება	242,256	217,239	283,067
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	-	-	-
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	242,256	217,239	283,067

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10,203	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	600,505	150,038	5,487
ჯამი	610,708	150,038	5,487

შენიშვნა 11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	262	924	233
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,053	54,511	43
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	378	86	349
დეპოზიტის ანგარიში	5,876	5,424	-
ჯამი	9,569	60,944	625

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

საზოგადოების ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	267,366	165,411	182,729
გადასახდელი ხელფასები	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	40,000	40,000	46,000

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირუზ რზაიძე
დირექტორი
2025 წლის 30 აპრილს
მარნეული, საქართველო

ბუღალტერი

ჯამი	307366	205411	228729
------	--------	--------	--------

შენიშვნა 13. სასესიო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
MAR.0143716.001-001	-	2,522,751	-
2024-07-17/0009/BSN/792572/001 ბაზის ბანკის სესხი	2,757,990	-	-
2024-07-17/0020/AGRO/792572/002 ბაზის ბანკის სესხი	118,500	-	-
ჯამი	2876490	2522751	0

შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ საზოგადოებას მზიშვნელთან მოვლენები არ განხორციელებულა.

შენიშვნა 15. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

ხელმძღვანელობის სახელით:

ფირუზ ოზავეცი
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

2024 წ

2023 წ

ბულალტერი

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა

24490

24490

შენიშვნა 16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30
სექტემბერი.

ხელმძღვანელის სახელით:

ფირუზ რაევი
დირექტორი

ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
მარნეული, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

17